# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 286

„ 2 " სექტემბერი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გიული ჭოხონელიძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.020.199) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა გამრეკელაშვილისთვის (პ/ნ 12001045604) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის-„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, გიული ჭოხონელიძის ქ.№1-ის მიმდებარედ არსებული 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.020.199) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა გამრეკელაშვილისთვის (პ/ნ: 12001045604) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 აგვისტოს №32.20.701 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიული ჭოხონელიძის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.01.020.199) მარინა გამრეკელაშვილისთვის (პ/ნ: 12001045604) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი